პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20.... წლის ..... ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმში მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის

წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებელის სახელის მინიჭება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილს (ავტოსადგურიდან ბონის კულტურის სახლამდე) მიენიჭოს წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებელის სახელი (თანახმად თანდართული სიტუაციური გეგმისა).

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებელის სახელის მინიჭება

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

წმინდა სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა დიაკონი სევერიანე (ბერიძე), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აჭარაში და ასობით მუსლიმი გააქრისტიანა.

სასიხარულოა, რომ წმიდა სევერიანეს ხორციელი ძმა ყინწვისის მამათა მონასტერში მოღვაწე სქემარქიმანდრიტი სისო (ბერიძე იყო), ხოლო წმიდა სევერიანის ძმისშვილია, ბათუმის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი ბასილ ბერიძე.

პირადი მოგონებები და გადაცემა "ფერისცვალება" გვამცნობს, რომ მამა სევერიანე აჭარელი კაცი იყო, რომელიც მუსულმანურ ადათ-წესებს ზედმიწევნით იცავდა. იგი, სასწაულებრივად შეიყვანა ' ტაძარში ორმა პიროვნებამ, რომლებიც მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი იყვნენ, რასაც მამა სევერიანე მას შემდეგ მიხვდა, როდესაც მათი ხატები ნახა ეკლესიაში. ტაძარში შესულმა ნათლობა ითხოვა. იმ პერიოდში ტაძარში მსახურობდა საქართველოს მომავალი პატრიარქი ილია მეორე, სწორედ მან მონათლა ეს აჭარელი კაცი, რომელიც დილას მუსულმანურ ლოცვას იყო დანასწრები.

მამა სევერიანე, სანამ სასულიერო პირი გახდებოდა აქტიურად ქადაგებდა ქრისტიანობას, რის გამოც ყოფილი მუსლიმი და კომუნისტი დაცინვისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი იყო. მის გაქრისტიანებას ოჯახის წევრების დიდი წინააღმდეგობაც მოჰყვა. მის შვილს ხალხში გამოჩენისაც კი რცხვენოდა, იმდენად დიდი ნეგატივი იყო მისი მამის წინააღმდეგ. დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ, მიუხედავად ამისა, მისი ქადაგებით მრავალი ადამიანი გაქრისტიანდა. მისი ძმაც და ძმისშვილიც სასულიერო პირები არიან. უკვე საკმაოდ მოხუცებული დიაკვნად აკურთხეს და მალევე გარდაიცვალა. ხშირად ამბობდა, - ლოცვისას უფლისთვის შემდეგი სიტყვებით მიემართათ: "უფალო, შენ მოგანდობთ ჩვენს ცხოვრებას"!

ა.ბ) პროექტის მირითადი არსი:

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებელის სახელის მინიჭება

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმში მაიაკოვსკის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი პატარიძე